



**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
მორიგი სხდომის**

**( ო ქ მ ო №10**

ქ. ბათუმი  
ივლისი

2019 წლის 16

11<sup>00</sup> საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

**მ ს შ რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :**

- |                      |  |
|----------------------|--|
| თამაზ სალუქვაძე      | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;  |
| ლაშა სირაბიძე        | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;  |
| გოჩა მგელაძე         | საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე;                        |
| ირაკლი პატარიძე      | საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ზურაბ ნაკაიძე        | საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე;               |
| დimitრი ჭეიშვილი     | საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;                  |
| თემურ კახიძე         | საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;                    |
| ნატალია ზოიძე        | საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე;            |
| ბესარიონ გოგოტიშვილი | საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის            |

მოადგილე;

ნატალია ძიძიგური	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე;
ნერიმან ცინცაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოადგილე;
მირდატ ქამადაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე;
ნოდარ დუმბაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე;
რაულ თავართქილაძე	საკრებულოს ფრაქცია „ბათუმის“ თავმჯდომარე;
არჩილ მამულაძე	საკრებულოს ფრაქცია „ბათუმის“ თავმჯდომარის მოადგილე;
ანზორ დევაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე;
დავით მახარაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარის მოადგილე;
ელგუჯა ანდრიაძე	საკრებულოს წევრი;
თამაზ დევაძე	საკრებულოს წევრი;
ომარ მახარაძე	საკრებულოს წევრი;
ლევან ანთაძე	საკრებულოს წევრი;
მუხამედ ართმელაძე	საკრებულოს წევრი;
გელა დეკანაძე	საკრებულოს წევრი.
<b>არ ესწრებოდა:</b>	
ირაკლი თოფურიძე	საკრებულოს წევრი;

## სხდომას ესწრებოდნენ:

- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი - ლაშა კომახიძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კობინაძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - ეთერ ლომაძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი - ემზარ ქავჭარაძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი - მერაბ ქიძინიძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი - სოფიო მიქელაძე;
- ა(ა)იპ - „მუნიციპალური სერვისების სააგენტოს წარმომადგენლები;
- ა(ა)იპ - „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს“ დირექტორი - სულხან ევგენიძე;
- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის თავმჯდომარე - ანა მდინარაძე;
- საზოგადოება „ბათუმის“ წარმომადგენლები: ზეინაზ დიასამიძე, შოთა გუჯაბიძე, ნინო ინაიშვილი.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები: საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე; იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე; საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე, ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე; მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე; ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა და წარმატებები უსურვა დამსწრე-საზოგადოებას. მან აღნიშნა, რომ 2016-2017 წლებში სამმა ცნობილმა ორგანიზაციამ, კონსულტაციების დატრენინგების ცენტრმა, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა და მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრმა შეიმუშავა ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი, რომლის საშუალებითაც ყოველწლიურად უნდა მოხდეს საქართველოს მუნიციპალიტეტების ერთიანი ეროვნული შეფასება. ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის მიხედვით წარმა-

ტებული მუნიციპალიტეტები გამოვლინდა. 2019 წლის შეფასების მიხედვით, საუკეთესო შედეგის მქონე მუნიციპალიტეტად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი დასახელდა. ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი სწავლობს და აფასებს საქართველოს მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობის, მოქალაქეთა მიმართ ანგარიშვალდებულებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის მონაწილეობის ხარისხს. პირველი ასეთი შეფასება, რომელიც ძირითად ასპექტს მოიცავს ეს არის საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება, ელექტრონული მმართველობა და მოქალაქეთა მონაწილეობა და ანგარიშვალდებულება. სხდომის თავმჯდომარემ მიულოცა თითოეულ დეპუტატს, საკრებულოს აპარატის თანამშრომელს, მერს და მერიის თანამშრომლებს. ცხადია ეს არ გვაკმაყოფილებს და მომავალში უფრო გამჭვირვალე და შემდგომი მუშაობა მეტად ეფექტური იქნება მოსახლეობასთან ურთიერთობით. გარდა ამისა აცნობა, ახალი ფრაქციის „ქართული ოცნება-მრეწველების“ შექმნა, რომლის თავმჯდომარედ არჩეულია ანზორ დევაძე.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ აღნიშნა, რომ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მიმდინარე წლის 12 ივლისს შემოსული იყო მიმართვა, რომელშიც მოთხოვნილია საქართველოს მთავრობისადმი მიმართვის ტექსტის საკრებულოს დღის წესრიგში შეტანა. აღნიშნული საკითხი კანონმდებლობის სრული დაცვით იქნა დარეგისტრირებული, თუმცა სამწუხაროდ ეს საკითხი არცერთი კომისიის დღის წესრიგში არ იყო და არც ბიუროს სხდომის დღის წესრიგში. ამით დაირღვა მოქმედი კანონმდებლობა და საკრებულოს რეგლამენტი, ვინაიდან პროცედურა და კანონმდებლობა ითვალისწინებს საკითხი საკრებულოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით უნდა შესულიყო დღის წესრიგში. ბიუროს სხდომაზე მოისმინა კომისიისა და საკრებულოს თავმჯდომარის მოსაზრებები, რომ არ მიაჩნიათ მიზანშეწონილად საკითხის დღის წესრიგში შეტანა, იმიტომ რომ სცდება საკრებულოს კომპეტენციას. წარმოდგენილი საკითხი არ სცდება არანაირი კომპეტენციის ფარგლებს. იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ პოლიტიკურ ორგანოს მიმართვის მიღება შეუძლია, მაგრამ ახსნა იმით, რომ ფრაქცია „ქართულ ოცნებასთან“ არ გაუვლიათ კონსულტაცია, თუმცა არც ერთი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, რომ ოპონენტ ფრაქციასთან ინიციატივის დროს კონსულტაციის გავლას. მას აინტერესებს გადაწყვეტილება განეკუთვნება თუ არა საკრებულოს კომპეტენციას. საკრებულოს რეგლამენტის თანახმად საკრებულოს სამი კოლეგიალური ორგანო გააჩნია: საკრებულოს, ბიუროს და კომისიის სხდომები. თუ კოლეგიალურად სხდომები არ იღებს გადაწყვეტილებას, სხვა არავინ არ არის უფლებამოსილი კანონმდებლობის თანახმად, განსაზღვროს წინასწარვე აპრიორი ესა თუ ის საკითხი გენეკუთვნება თუ არა საკრებულოს კომპეტენციას. აქედან გამომდინარე, ვინაიდან უხეშად იქნა დარღვეული რეგლამენტი, მიმართა თხოვნით რომ კანონდარღვევა გამოასწორონ და დღის წესრიგში დაემატოს ფრაქციის ინიციატივა, რომელიც მნიშვნელოვანია. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, როგორც ამ ქალაქის წარმომადგენლობითმა ორგანომ დააფიქსიროს პოზიცია აღნიშნულ შემთხვევით ფაქტთან დაკავშირებით და საოკუპაციო რეჟიმს აჩვენოს საზოგადოების ერთიანობა საქართველოს დამოუკიდებლობისა და ერთიანობის იდეისათვის ბრძოლაში, რომელიც გახლავთ ყოვლად ზეპარტიული იდეა.

საკრებულოს იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ თემურ კახიძემ აღნიშნა, რომ ბიუროს სხდომაზე მან განმარტება გააკეთა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რომ კომისიის გადაწყვეტილებით მიღებული იქნა საკითხი დღის წესრიგში არ დამატებულიყო. წარმოდგენილ საკითხს თუ არ ახლავს კომისიის დასკვნა არ ხდება არც ბიუროს და არც სხდომის დღის წესრიგში, რაზედაც

მირდატ ქამადაძემ უპასუხა, რომ რეგლამენტის დარღვევის საფუძველზე თუ არ შეიტანთ საკითხს დღის წესრიგში, ბუნებრივია ვერ ექნება იურიდიული კომისიის დასკვნა. ასევე თუ თვლით, რომ საკითხი სცდება საკრებულოს კომპეტენციას, ერთპიროვნულად არ უნდა მიიღოთ გადაწყვეტილება. მსჯელობის საფუძველზე უნდა იქნას დღის წესრიგიდან ამოღება.

საკრებულოს წევრმა ირაკლი პატარიძემ აღნიშნა, რომ ფრაქციის მიერ შემოსული მიმართვის პროექტის განმარტებითი ბარათიდან ჩანს, რომ არის რეზოლუცია და არა მიმართვა. საკრებულოს რეგლამენტის მესამე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით საკრებულო უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება, განკარგულება, მიმართვა, განცხადების წარდგინება. აგრეთვე მოისმინოს და ცნობად მიიღოს ინფორმაცია, შეიმუშაოს რეკომენდაციები, საკანონმდებლო წინადადებები. შესაბამისად, საკრებულო უფლებამოსილი არ არის რეზოლუციის მიღებისა. მირდატ ქამადაძემ განცხადებაში აღნიშნა, რომ ეს მიმართვა არის შედგენილი სრული კანონის დაცვით. მან საკრებულოს აპარატის იურიდიულ განყოფილებას მიმართა, რომ სწორად არის შედგენილი თუ არა მიმართვის პროექტი, რაზედაც ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ საკრებულოს რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საკრებულო უფლებამოსილია მიიღოს განკარგულება, დადგენილება და შუამდგომლობა. გამომდინარე აქედან განმარტებითი ბარათი უნდა ყოფილიყო მიმართვის კუთხით, რატომღაც გაპარულია ტექნიკური ხარვეზი და ნაცვლად მიმართვისა აღნიშნულია რეზოლუცია.

საკრებულოს წევრმა ნატალია ზოიძემ აღნიშნა, რომ დღეს საუბარია საკრებულოს კომპეტენციაში არ შესული მიმართვის პროექტის განხილვის თაობაზე, დაწყებული 2004 წელს რატიფიცირებული ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ მოგვიწოდებს სწორედ იმას, რომ საკრებულოს კომპეტენცია განისაზღვროს საქართველოს კანონმდებლობით და კონსტიტუციით. ყველაზე დიდი კანონმდებლობა საკრებულოსთვის არის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი. საკრებულოს რეგლამენტით გაწერილია საკრებულოს კომპეტენციები. წარმოდგენილი მიმართვის პროექტი სცდება საკრებულოს კომპეტენციას.

საკრებულოს წევრმა მირდატ ქამადაძემ უპასუხა, რომ ტექნიკური შეცდომაა, მაგრამ მიმართვის პროექტს არ სჭირდება განმარტებითი ბარათი, უბრალოდ ფორმალობის გამო წარმოდგენილია, მეორე რომ საკრებულოს კომპეტენცია არ არის, მაგრამ საკითხზე საკრებულოს უნდა ემსჯელა. საკითხი დღის წესრიგში არ შესულა და არც გამსჯელიათ საკრებულოს კომისიებსა და ბიუროს სხდომებზე.

საკრებულოს წევრმა ლევან ანთაძემ აღნიშნა, რომ ევროპული ქარტიით საკრებულოს კომპეტენციას არ განეკუთვნება აღნიშნული საკითხი, მაგრამ ა(ა)იპ „ბათუმის სასაფლაოებს“ ეკუთვნით თუ არა სამუშაო საათებში ტყუილი განცხადებების გაკეთება, როცა 3 მილიონ 400 ათასი ლარი მოპარულია და სასაფლაო დღემდე არ ფუნქციონირებს.

საკრებულოს წევრმა ირაკლი პატარიძემ განაცხადა, რომ დემაგოგიური მიმართვის პროექტის დღის წესრიგში შეტანის კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებს.

**სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მიმართვის ტექსტის დღის წესრიგში დამატება დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 23 საკრებულოს წევრი  
არ ესწრებოდა: 1(გ. დეკანაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 3 (ლ. ანთაძე, მ. ქამადაძე, ნ. დუმბაძე)  
წინააღმდეგი - 19  
არ მიიღო მონაწილეობა -1(ი. პატარიძე)

**სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო მორიგი სხდომის დღის წესრიგი:**

## **დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი :**

**საკითხი 1.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხსენებელი: ედნარ ნატარიძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

**საკითხი 2.** „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხსენებელი: მირიან მეტრეველი - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი)

**საკითხი 3.** „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხსენებელი: მირიან მეტრეველი - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი)

**საკითხი 4.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემისა და ფასის გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის, უწყებრივი სანებართვო რეესტრის (ჟურნალის) და კონკურსის წესით გამოვლენილ გამარჯვებულთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმების და სანებართვო მოწმობის შევსებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხსენებელი: ემზარ ქავთარაძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის, საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი)

**საკითხი 5.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბულვარში, პარკში, სკვერში მოტოციკლით, კვადროციკლით და ელექტრომობილით (ელექტროტრანსპორტით) გადაადგილების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 5 მარტის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი)

**საკითხი 6.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №70 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი)

**საკითხი 7.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №69 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი)

**საკითხი 8.** „ქალაქ ბათუმში, სტეფანე ზუბალაშვილის ქ.№5-ში არსებულ საცხოვრებელ სახლზე მიხეილ ბეჟანიძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხსენებელი: ირაკლი პატარიძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

**საკითხი 9.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხსენებელი: მირიან მეტრეველი - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი)

(მომხსენებელი: დავით კობინაძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი)

**საკითხი 10.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

**საკითხი 11.** „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის N4-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხსენებელი: მირიან მეტრეველი - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი)

**სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 23 საკრებულოს წევრი  
არ ესწრებოდა: 1(გ. დეკანაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20  
წინააღმდეგი - 3 (ლ. ანთაძე, მ. ქამადაძე, ნ. დუმბაძე)

საკრებულოს თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე. მან საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადების ოქმის სახით გადაგზავნა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ მიმდინარე წლის 20-21 ივნისის მოვლენებს გამოეხმაურა. ის და მისი თაობა ბედნიერია იმით, რომ დაინახეს ქვეყანაზე უზადოდ შეყვარებული ახალგაზრდობა. დაინახეს, როგორ გულწრფელად დაგმეს რუსი დეპუტატის საქციელი, როგორ გულმხურვალედ აპროტესტებენ ოკუპაციას, მაგრამ სამწუხაროდ, პროცესებში ჩაერთო დესტრუქციული ძალები, ანტისახელმწიფოებრივად მოაზროვნე ოპოზიციური ძალები, მათი მოწოდებებით და ქმედებებით, წაქეზებებით მომიტინგეთა ნაწილი სულ მცირე ორი საათის განმავლობაში ახორციელებდა შტურმს ჩვენს სამართალდამცველებზე. დამავდა რამდენიმე ათეული სამართალდამცავი, ახალგაზრდა, სამწუხაროდ, რამდენიმემ დაკარგა თვალი. ფაქტია, რომ აღიკვეთა სახელმწიფოს ძალადობრივი მეთოდით დამხობის გზა. დღეს ჩვენს ხელისუფლებაში არის პარტია, რომლისთვისაც ერთ-ერთი ამოსავალი და მთავარი არის ადამიანის უფლებათა დაცვა და კანონმდებლობის დაცვა. ის დარწმუნებულია, რომ უახლოეს მომავალში ყველა ის პიროვნება, ვინც ცდილობდა სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას და ყველა ის პოლიციელი, ვინც გადაამეტა თავის უფლებამოვალეობას, სასტიკად დაისჯება. ასევე მოქმედი ხელისუფლების წარმატებად მიაჩნია არჩევნების ჩატარებას პროპორციული სისტემით, ნულოვანი ბარიერით. კარგად ახსოვს 90-იან წლებში დღემდე განვლილი ისტორია, ხელისუფლება შეიცვალა ბევრმა პარტიამ, მაგრამ მოქმედმა პარტიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ჩატარდეს პროპორციული არჩევნები ნულოვანი ბარიერით, რასაც მთელ მოსახლეობას ულოცავს.



საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა მირდატ ქამადაძემ განაცხადა, რომ საკრებულოს თავმჯდომარის გამოსვლა სიმბოლურია, 1989 წლის 9 აპრილს გადაწყდა საქართველოს ბედი. წამებულთა სულები დაგვცქერიან ზევიდან და ხარობენ, რამეთუ აღსრულდა ქართველი ერის ნება, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს.. ფარავდეს ღმერთი. ეს სიტყვები ეკუთვნის საქართველოს პირველ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას, რომელმაც 28 წლის წინ საქართველოს პარლამენტის უმაღლესი ტრიბუნიდან გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე. მას შემდეგ ჩვენი ქვეყანა, როგორც დამოუკიდებელი არსებობდა, იყო ბევრი შეცდომები, მაგრამ 28 წლის თავზე ზუსტად იმავე ტრიბუნიდან ჩვენი ქვეყნის სუვერიტეტის ხელყოფა მოხდა, როდესაც ოკუპანტი ქვეყნის დუმის წარმომადგენელი, ხელი მოწერილი აქვს აფხაზეთისა და ოსეთის აღიარებაზე, მოთავსდა პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში და რუსულ ენაზე წაიყვანა სხდომა. ამაზე დიდი შეურაცხყოფა არ არსებობს. გვახსოვს მე-20 საუკუნიდან სერგო ორჯონიკიძე, რომელმაც შემოუძღვა საოკუპაციო ჯარებს და მოახდინა ქვეყნის ოკუპაცია. მან სხდომის თავმჯდომარეს შეახსენა გენერალ როდიონოვის სიტყვები 9 აპრილის მოვლენების შემდეგ. „თქვენ ამართლებთ ძალადობას“. ქართული ოცნება 20-21 ივნისის მოვლენების შემდეგ, როგორც ხელისუფლება დაემსგავსა სერგო ორჯონიკიძეს, რომელმაც საკუთარი ხელით შემოიყვანა და ამ ქვეყნის სუვერიტეტი ხელყო.

საკრებულოს წევრმა არჩილ მამულაძემ აღნიშნა, რომ ფრაქციის, პარტიის სახელით გმობს ყოველგვარ ძალადობას, მომხდარ ფაქტებთან დაკავშირებით უნდა მოხდეს მყისიერი გამოძიება, იყო თუ არა დანაშაულის ნიშნები საკანონმდებლო ორგანოში შეჭრასთან დაკავშირებით, კადრებიდან ჩანდა, რომ იყო უფლებამოსილების გადამეტება, სადაც დიდი ტრამვა და ზიანი მიადგა ახალგაზრდებს. მკაცრად უნდა დაისაჯონ დამნაშავეები. რაც შეეხება განცხადებებს, ბათუმის მე-14 საბავშვო ბაღში სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში ბავშვები იმყოფებიან შენობაში, რის გამოც ითხოვს ბავშვების გარიდებას. მახვილაურში სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო მოსახლეობა უწყლოდ არის დარჩენილი.

საკრებულოს წევრმა ნატალია ძიმიგურმა აღნიშნა, რომ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას 9 აპრილზე საუბრის არავითარი მორალური უფლება არ აქვს. მან შეეხო 20-21 ივნისის მოვლენებს, ის იზიარებს საზოგადოების აღშფოთებას, რომელიც მოხდა 20 ივნისის დილით და ამას მოჰყვა უპრეცედენტო ნაბიჯი სახელმწიფოს მხრიდან და გადადგა პარლამენტის თავმჯდომარე, მაგრამ კატეგორიულად ეწინააღმდეგება ძალადობრივი გზით სახელმწიფო ორგანოების დაპყრობას, რამაც მოგვითანა სავალალო შედეგები. მას, როგორც პოლიტიკოსს არ აქვს უფლება საზოგადოების გაყოფისა, ორმა დაკარგა თვალები, ამიტომ აღნიშნა: არა ნაციონალურ მოძრაობას, არა სამოქალაქო დაპირისპირებას.

საკრებულოს წევრმა რაულ თავართქილაძემ აღნიშნა, რომ წინააღმდეგია ნებისმიერი ძალადობის, ფიქრობს ქვეყანას სჭირდება განვითარება და სტაბილურობა. ასევე აღნიშნა, რომ ქალაქს შემოერთებული ტერიტორიიდან მოსახლეობის ნაწილი იყო მოსული და ჰქონდათ შეხვედრა, რომლებსაც აწუხებთ წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობის გამო დღემდე წყალი არ აქვთ. ასევე ქალაქის 26-ე საბავშვო ბაღთან მოსახლეობა ითხოვს ზებრა გადასასვლელს მანქანების გადაჭარბებული სიჩქარის გამო.

საკრებულოს წევრმა ნოდარ დუმბაძემ აღნიშნა, რომ კოლეგების მიერ გაკეთებულ განცხადებებს არ ეთანხმება. კარგი იქნება ქალაქის მერი თუ გააკეთებს შეფასებას 20-21 ივნისის მოვლენებისა.

საკრებულოს წევრმა ლევან ანთაძემ მადლობა გადაუხადა იმ ახალგაზრდებს, რომლებმაც გამოხატეს პროტესტი გავრილოვის ჩამოსვლასთან დაკავშირებით, რაც შეეხება პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას, ეს არის იმ ახალგაზრდების წარმატება და არა ქართული ოცნების. მან მიმართა ქალაქის მერს ა(ა)იპ ბათუმის სასაფლაოების თემასთან დაკავშირებით, რომ თებერვლის თვეში მერის მიერ ხელი მოწერილია ჩაქვში სასაფლაოს ჩაბარების აქტზე, რომელშიც 3 მილიონ 400 ათასი ლარია გადახდილი და დღემდე ეს სასაფლაო არ ფუნქციონირებს.

საკრებულოს წევრმა ნატალია ზოიძემ აღნიშნა, რომ მას არ უნდა გაუფასურება, რაც 20-21 ივნისს უკავშირდება, რისთვისაც არაერთხელ გაკეთდა ხელისუფლების მხრიდან განცხადებები, თამარ ჩუგოშვილმა გააკეთა პირველი კომენტარი იმასთან დაკავშირებით, რაც ხდებოდა პარლამენტში, როცა ამ კომენტარს მოჰყვა ნამდვილად გულწრფელი ადამიანების გამოსვლა და პროტესტი, ყველა ოპოზიციური ძალა სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენლებთან ერთად ერთ მხარეს დადგებოდა, იმ შედეგს დაჯერდებოდა, რომელიც მოიტანა რუსი დეპუტატის მიერ, არა მარტო პარლამენტის შენობის დატოვება, არამედ ქვეყნის დატოვება, თუმცა ამის შემდეგ მოხდა პარლამენტის თავმჯდომარის გადადგომა საპარლამენტო რესპუბლიკაში, მაგრამ სამწუხაროდ ერთიან ნაციონალური მოძრაობას და დესტრუქციულ ძალებს ამ ქვეყანაში არ აინტერესებთ არაფერი ღირებული გაკეთებული. მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც გაუძლო ხელკეტებს და რკინის კონსტრუქციებს. დემოკრატია არ არის ყველაზე კარგი ფორმა მმართველობის, მაგრამ ამაზე უკეთესი ჯერ კაცობრიობას მმართველისთვის არ მოუგონია.

სხდომის თავმჯდომარემ ქ. ბათუმის მერს ლაშა კომახიძეს მოქალაქეების არაერთხელ დასმული კითხვები დაუსვა, კერძოდ, იაფი სახლის პროექტთან და წერეთლის ქუჩაზე მოკროავტობუსების გაჩერებასთან დაკავშირებით, რაზედაც ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ მისასაღმებელია მილოცვით სხდომის დაწყება და ყველას მადლობა გადაუხადა. თვითმმართველობის ინდექსის მიხედვით წელს შეფასებით 2017 წლის შემდეგ ბათუმმა აიღო პირველი ადგილი, ეს არის ძალიან სერიოზული მონაპოვარი და ფიქრობს, რომ ეს ის მონაპოვარია, რომელიც გამოხატავს მუნიციპალიტეტის მიღწევას 2 წლიანი მუშაობის პერიოდში, რა დროსაც მუშაობა შეფასდა 90 კრიტერიუმის მიხედვით 3 ძირითად კატეგორიაში, ეს არის ინფორმაციის საჯაროობა, პროაქტიული გამოქვეყნება და ელექტრონული მმართველობა და მოსახლეობის ჩართულობა ბიუჯეტირების პროცესში. ის, რომ ბათუმმა მე-15 პოზიციიდან პირველი პოზიცია დაიკავა და 11 ქულით უსწრებს რუსთავის მუნიციპალიტეტს, ეს ნიშნავს, რომ ძალიან სერიოზული ნაბიჯია მუნიციპალიტეტის, როგორც თვითმმართველი ერთეულის მუშაობის კუთხით. მიულოცა ყველას, საკრებულოს, დეპუტატებს, მერიის და საკრებულოს თანამშრომლებს. რაც შეეხება დასმულ საკითხებს, კერძოდ ჩაქვის სასაფლაოებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სამუშაოები, რომელიც მიღებულია და ჩაბარებულია გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად სამხარაულის დასკვნის საფუძველზე. იმ კომპანიების მიერ სამუშაოები ჩაბარდა, რომელმაც ბოლოს შეასრულა მიწის სამუშაოები. საკმაოდ კომპლექსური სამუშაოა, იგი შედგება 3-4 ეტაპისაგან და სწორედ ბევრი კითხვის გამო საქმე იმყოფება პროკურატურაში გამოძიებაზე. ყველას ინტერესშია სასაფლაოს სწრაფი ამოქმედება, მაგრამ დაკავშირებულია ბუნებრივ პროცესებზე ნიადაგის ეროზიასთან, რაშიც გეოლოგები არიან ჩართული. ა(ა)იპ ბათუმის სასაფლაოებს მიმართული აქვს სამხარეულის ექსპერტიზისთვის შემდგომი დასკვნის შემუშავებისათვის, სასაფლაოს დიდი ნაწილი მზადაა ფუნქციონირებისათვის, ვერ დაეთახება, იმას თითქოს შავ ბაზარზე გადაყიდვები ხდება. რაც შეეხება იაფ სახლს,

აშენებულია და დასრულებულია. მიმდინარეობს პროცედურები, მისი შემდგომი გადმოცემის თაობაზე, დასამტკიცებელია მისი გადაცემის წესი, რომელიც უახლეს საკრებულოს სხდომაზე შემოვა დასამტკიცებლად. დაახლოებით ერთი თვის შემდეგ დაიწყება განცხადებების მიღება პოტენციური ბენეფიციარებისგან. ასევე რაც შეეხება წერეთლის ქუჩაზე საქალაქთაშორისო მიკროავტობუსების გაჩერებას, მერია აქტიურად მუშაობს ამ კუთხით, საბოლოოდ როგორც გარე ვაჭრობის საკითხი, მოგვარდება. სხვა დანარჩენ დავალებებს მე-14 საბავშვო ბაღთან, ზებრა გადასასვლელის გაკეთებას აუცილებლად გაითვალისწინებს და მოგვარდება. რაც შეეხება ხელვაჩაურში წყლის სისტემას, დიდი პროექტი იქნა განხორციელებული, ფაქტიურად მთლიანად გაყვანილია მაგისტრალური მილი, დაწყებულია დაქსელვის სამუშაოები. ოქტომბრის თვიდან წყალი მიწოდებული იქნება მოსახლეობისთვის.

**სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ განაცხადა, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.**

**მ ო ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი**

(მომხსენებელი: ედნარ ნატარიძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით იზრდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები 1,710,1 ათასი ლარით. მათ შორის: სპეციალური ტრანსფერი 9521,3 ათასი ლარით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა „ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის“ პროექტის ფარგლებში შესყიდული საქონლისა და მომსახურების დღგ-ის 50% გადახდის მიზნით. კომუნალური ტრანსფერი - 758,8 ათასი ლარით. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა, კაპიტალური პროექტების დაფინანსების მიზნით. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გადასახდელები იზრდება 2,239,0 ათასი ლარით.

დანართი თან ერთვის.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :**

საკრებულოს წევრმა რ. თავართქილაძემ დასვა შეკითხვა, ინფრასტრუქტურულ პროექტებისთვის გამოთავისუფლებული თანხების გადატანის თაობაზე, რადგან მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანია მოედნების გაკეთება ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვისთვის.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ძირითადი ასიგნებების გადანაწილება დამოკიდებულია მოქალაქეების მომართვიანობაზე, მიმდინარე ეტაპისთვის ასგნებები მიმართული იქნა იმ საზოგადოებრივ მოთხოვნილებებზე და პრობლემური საკითხების ძირითად აღმოფხვრაზე.

საკრებულოს წევრმა ნოდარ დუმბაძემ აღნიშნა, რომ ერთ-ერთ სხდომაზე ამოღებული იქნა ბენზე-ბარცხანის ტერიტორიაზე საფერხმალო გადასასვლელი ხიდის მშენებლობა და გაცხადებული იქნა რომ კერძო ინვესტორი გააკეთებდა.

ქ. ბათუმის მერმა აღნიშნა, რომ არის კომპანიები, რომლებიც გვთავაზობს ხიდის გაკეთებას სარეკლამო სივრცის გამოყენების სანაცვლოდ, თუმცა აქ არის ორი მნიშვნელოვანი მომენტი, რომ ეს არის ძირითადი ქალაქის შემოსასვლელი მაგისტრალი, ხოლო მეორის მხრივ, არაერთ ექსპერტთან კონსულტაციის საფუძველზე, ამაში გადაწყვეტილება საბოლოოდ მისაღები არის, ასეთ ადგილებში გადასასვლელი ხიდის გაკეთება, სადაც არ ხდება მოსახლეობის მხრივ მისი გამოყენება, ამ ეტაპზე ეს ადგილები შეზღუდულია, ე.წ. მწოლიარე პოლიციელით, რომლითაც შენელდა მოძრაობა, მიღებულია კარგი ეფექტი. თბილისში გაკეთებული გადასასვლელი ხიდები მოხსნილია. ეს არის ექსპერტების რეკომენდაცია. მიმდინარეობს სამუშაოები, თუმცა ტექნიკური ნაწილი საკმაოდ რთული აღმოჩნდა გადასალახავად.

**სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21 საკრებულოს წევრი  
არ ესწრებოდნენ: 3 (ა. დევაძე, ლ. ანთაძე, მ. ქამადაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18  
წინააღმდეგი - 3 (გ. დეკანაძე, რ. თავართქილაძე, ა. მამულაძე)

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მ ო ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 2.** „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხსენებელი: მირიან მეტრეველი - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო შპს „ბათუმი რივიერას“ მოთხოვნის საფუძველზე, საკითხი ეხება ქ. ბათუმში, იაკობ გოგებაშვილის ქუჩისა და ზღვის სანაპიროს შორის მდებარე ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებას. წინადადება მოიცავს მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობას, რომელიც მოიცავს მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებს, სასტუმროებს, საზღვაო სანაოსნოსთან ინტეგრირებულ მრავალფუნქციურ კომპლექსს, იახტკლუბს, ხელოვნურ ლაგუნას, რესტორნებს, კონვენციის ცენტრს, კაზინოს, საცხოვრებელ და საზოგადოებრივ სივრცეებს. წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის თანახმად, ნაკვეთების მნიშვნელოვან ნაწილს იკავებს ხელოვნური ყურე, სადაც გათვალისწინებულია ნავსადგომი იახტებისთვის. წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე განაცხადი კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაიგზავნა ადმინისტრაციულ ორგანოებში, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია ადმინისტრაციული წარმოების პროცესში ვალდებულია დაელოდოს სხვა ადმინისტრაციული ორგანოებიდან შემოსულ გადაწყვეტილებებს, მითითებულ ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე და ამ გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ მუნიციპალიტეტი მათზე დაყრდნობით მიიღებს გადაწყვეტილებას.

აქვე გაცნობებთ, განმცხადებელს განემარტა, რომ საჭირო იყო წარმოედგინა კომპეტენტური ორგანოს დასკვნა საჭიროებდა თუ არა დაგეგმილი მშენებლობა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, ამ მიზნით მან უნდა მიმართოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სკრინინგის განცხადებით და შესაბამისად ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ორგანოს გადაწყვეტილება, საჭიროებს თუ არა დაგეგმილი მშენებლობა ზემოქმედების შეფასებას.

ადმინისტრაციული წარმოების პროცესში საქმის განხილვისას ქ. ბათუმის მერიის მიერ დადგინდა, რომ საპროექტო კომპლექსი, რომლის მშენებლობასაც აპირებს შპს „ბათუმი რივიერა“, თავისი მახასიათებლებით, ფუნქციური დატვირთვიდან და სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით წარმოადგენს მე-5 კლასის ობიექტს, რაზეც ქ. ბათუმის მერიის მიერ ნებართვა არ გაიცემა, ასეთი სახის ობიექტზე მშენებლობის ნებართვას გასცემს აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

**ა ზ რ ი**

საკრებულოს წევრმა რაულ თავართქილაძემ აღნიშნა, რომ მილიარდი ლარის ინვესტიცია მნიშვნელოვანია ჩვენი ქალაქის განვითარებისთვის, შეიქმნება სამუშაო ადგილები, ასევე მოწესრიგდება ტერიტორიები. ასეთ ინვესტიციებს ფრაქცია „ბათუმი“ მხარს დაუჭერს.

მირდატ ქამადაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით მოყვა საზოგადოების დიდი ნაწილის პროტესტი, მათ შორის მოისმინეს პრემიერ-მინისტრის პოზიცია, ეროვნული საბჭოს გაფართოებული სხდომა ჩატარდა, თუმცა უარყოფითი დასკვნა მიიღეთ. მას აიტერესებს დღეს დღის წესრიგში საკითხის შეტანის მიზეზი, ასევე იახტ კლუბი გადაეცა სიმბოლურად ამ კომპანიას, რომელსაც ვალდებულებები გააჩნდათ. დღეს გამოჩნდა თუ რა მიზანს ემსახურებოდა ტერიტორიის გადაცემა და რატომ ხალხის საწინააღმდეგოდ კეთდება ეს ყველაფერი.

საკრებულოს წევრმა ნატალია ძიძიგურმა განაცხადა, რომ დღეისათვის პროექტს გააჩნია სამი არგუმენტი, პირველი: კომპანიის დასაბუთება ფინანსური სიძლიერის კუთხით, მეორე-ცნობილი იტალიური კომპანიების მიერ გეოლოგიური დასკვნის შესახებ და მესამე ახალგაზრდობის პოზიცია. ის შეხვდა ახალგაზრდებს, რომლებსაც კარგი განწყობილება ჰქონდათ აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით. ის, როგორც ამ ქალაქის მკვიდრი ბავშვობის მოგონებებს შეინახავს მეხსიერებაში, მაგრამ ეს ქალაქი არის ჩვენი ახალგაზრდა თაობის, ამიტომ დადებითად აფასებს აღნიშნულ საკითხს.

საკრებულოს წევრმა ლევან ანთაძემ მოუწოდა ყოველგვარი პარტიულობის გარეშე, რომ ბათუმის მოსახლეობის უმეტესობა წინააღმდეგია. ბათუმს არ სჭირდება ამგვარი პროექტები.

საკრებულოს წევრმა ნოდარ დუმბაძემ გააკეთა განცხადება, რომ აღნიშნული კომპანიის დამფუძნებელი არის ოთარ ფარცხალაძის ქვისლი, რომელსაც ვერავინ ვერ გაუწევს წინააღმდეგობას.

საკრებულოს წევრმა ნატალია ზოიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხით იწყება ადმინისტრაციული წარმოება.

მომხსენებლმა აღნიშნა, რომ ექვსი შენობის

ნაცვლად, ხუთი აშენდება. იქ არსებული ქუჩების გასწვრივ ყველა სივრცე არის გახსნილი.

საკრებულოს წევრმა ზურაბ ნაკაიძემ წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ წინაპრებიდან როგორც ახსოვს ეს იყო ყოველთვის სამეწარმეო ზონა. მე-19 საუკუნის ბოლოს ამ ადგილზე იყო ხორბლის შემნახველი საწყობები, გემთმშენებელი, ორი სპორტული კომპლექსი. დღეიდან პროექტის დამტკიცების შემთხვევაში დაიწყება 20 დღის განმავლობაში საჯარო განხილვები.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ბათუმის მოქალაქეს ნინო ინაიშვილს, რომელმაც განაცხადა, რომ დღეს საუბარია ქალაქის ბედზე და მომავალზე. ქალაქის მიერ არჩეული ხელისუფლება ვალდებულია მოუსმინოთ საზოგადოებას. კითხვებზე გაგვეცით პასუხები: პირველი რომ არაკომპეტენტური პასუხები მოვისმინეთ ისტორიულ ზონასთან დაკავშირებით, 15 მარტს თბილისში გაიმართა სხდომა რომელსაც ესწრებოდნენ ქალაქის მერი და არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსი, რომლებმაც ვერანაირი არგუმენტაცია ვერ მოიტანეს იმისთვის, რომ ეს არ იყო ისტორიული ზონა. მეორე საკითხი არის ეკოლოგია, სამთავრობო იენტიბის დოკუმენტში წერია, რომ დიდ საფრთხეებთან არის დაკავშირებული ბათუმი კონცხის ტერიტორიაზე მრავალსართულიანი სახლების მშენებლობა, რომელთა დიდ სიმძიმეს შეიძლება ვერ გაუძლოს კონცხის ნაპირთან ახლოს მდებარე წყალქვეშა კანიონის სათავეებში მეწყერების ზეგავლენით დასუსტებულმა სანაპირო ზოლმა. მესამე არის ეკონომიკა, რომლის განვითარება საჭიროა.

სხდომაზე დამსწრე მოქალაქემ, რეჟისორმა შოთა გუჯაბიძემ, რომელიც საზოგადოება „ბათუმის“ დამფუძნებელია, აღნიშნა, რომ ის „რივიერაზე“ ამ მასშტაბის მშენებლობის კატეგორიული წინააღმდეგია.

**სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა 1 საათიანი შესვენება.**

**სხდომა განახლდა 14.00 საათზე.**

შესვენების შემდეგ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერმა ლასა კომახიძემ „რივიერას“ პროექტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ, დღეს ქალაქი მნიშვნელოვანი



გადაწყვეტილების ეტაპზე. ბათუმს შესაძლოა შეემატოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ობიექტი, როგორც ტურისტული, ასევე ქალაქის ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. მსხვილი, მძლავრი ტურისტულ-ეკონომიკური ცენტრის შექმნა მოუტანს ქალაქს ახალ სიცოცხლეს, გადაიყვანს მას განვითარების აბსოლუტურად ახალ, ძლიერ ეტაპზე.

ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ტერიტორია არის ისტორიული ქალაქის საზღვრებში, მაგრამ ეს არის 6 ჰა მიწის ნაკვეთი, რომელზეც ამჟამად მდებარეობს მილიტარისტული ბუნკერი და წელიწადის ძირითადი პერიოდის განმავლობაში არის ქცეული კატარღებისა და ნაგებობის გასაჩერებელ ადგილად. საუბარია 6 ჰა ტერიტორიის სწორ არქიტექტურულ და ეკონომიკურად ღირებულ გადაწყვეტილებაზე.

მოვისმინე, რომ ეკონომიკას, ციფრებს არ აქვს მნიშვნელობა. პირადად ჩემთვის, როგორც მერისთვის, როგორც პოლიტიკური თანამდებობის პირისთვის, ნამდვილად არ არის უმნიშვნელო 1000-მდე სამუშაო ადგილი, რომელსაც ეს პროექტი ჰპირდება ჩვენს ქალაქს, 2000 სამუშაო ადგილი პროექტის განხორციელების პროცესში, დასაქმებული მუშახელი რამდენიმე წლის განმავლობაში. მისთვის, როგორც მერისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია ასევე ის, რომ ეს პროექტი პირდაპირი შემოსავლების გზით ყოველწლიურად 20 მილიონ ლარზე მეტ შემოსავალს მოუტანს ქალაქს.

აქვე თქვა, რომ 6 ჰა ტერიტორიაზე 5 შენობა ნიშნავს იმას, რომ არ მოხდება სივრცეების ჩაკეტვა, პირიქით, შენობებს შორის ძალიან დიდი თავისუფალი სივრცე იქნება. ჩვენ ძალიან ბევრი ვიმუშავეთ და დამიჯერეთ, არცერთ თქვენგანს ბოლო პერიოდში არ გიფიქრიათ, არ გიწვალათ და არ გინერვიულიათ იმაზე მეტი, ვიდრე მას და მისმა გუნდმა, შემოსულიყვნენ თუ არა საბოლოოდ ამ გადაწყვეტილებით. აბსოლუტურად შემთხვევით წააწყდა ძალიან კარგ კონცეპტუალურ თვალსაჩინოებას, რომელიც ახლოს დგას „რივიერას“ პროექტთან. ეს არის „სტამბოლში“ არსებული ერთ-ერთი სავაჭრო და ტურისტული ობიექტი „ZORLU“, პანდუსებზე განთავსებული მაღლივი შენობებით, აპარტამენტებით, სასტუმროებით, სავაჭრო ცენტრებით, გამწვანებითა და გასართობი ინფრასტრუქტურით. ეს არის ობიექტი, რის გამოც ამ ქალაქს სტუმრობენ. „რივიერას“ პროექტი თავისი მასშტაბებით არაფრით ჩამორჩება ამ პროექტს და ჩვენ შევეცდებით რომ ის იყოს გაცილებით უკეთესი. ეს არის კონცეპტუალურად და არა არქიტექტურულად მსგავსი პროექტი. ჩვენ ძალიან ბევრს ვმუშაობთ განსაკუთრებით პანდუსების პროექტირებაზე, დახრილობაზე, გამწვანებასა და დიდი სივრცეზე რომელიც მთლიანად იმეორებს ქალაქის ქუჩების მდებარეობას.

ყველა ეტაპზე აფიქსირებდა, რომ, როგორც ქალაქის მერი, როგორც ბათუმელი, რომელსაც არავისზე ნაკლებად უყვარს ეს ქალაქი, რომელსაც არავისზე ნაკლები პასუხისმგებლობის ადებისა და ტარების უნარი აქვს მომავალი თაობებისადმი, ფიქრობს და დარწმუნებულია, რომ სწორი არქიტექტურული გადაწყვეტილებით, ეს პროექტი ქალაქის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი, თვალსაჩინო ობიექტი გახდება. მოვისმინე კითხვები იმასთან დაკავშირებით, რამდენად შეიძლება ამ პროექტის განხორციელება გეოლოგიური მოცემულობიდან გამომდინარე. არცერთი ადამიანი წყალში არ ჩაყრის ამხელა თანხას. პროექტი არ კეთდება ერთ დღეში და ერთ წელიწადში და არავინ დააყენებს საკუთარ თავს დარტყმის წინაშე, ჩაყაროს ეს ინვესტიცია წყალში. როგორც ბათუმელის და როგორც ქალაქის მერის პოზიციიდან, მსურს დაგიდასტუროთ, რომ ფიქრობს და დარწმუნებულია, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც ოდესმე განხორციელებულა ამ სეგმენტში საქართველოში. რა თქმა უნდა, ამ პროექტს ჰყავს



თავისი მომხრეები და ადამიანები, რომლებსაც ეჭვი ეპარებათ, ან არ უნდათ ამ პროექტის განხორციელება. 20 დღიან პერიოდში უნდა მოხდეს ამ პროექტის განხილვა საჯარო სივრცეში, არქიტექტორებთან, საზოგადოებრივ, არასამთავრობო და სხვადასხვა წრესთან, რა დროსაც ყველას აქვს თავისი პოზიციის გამოხატვისა და დაფიქსირების საშუალება. ვერ დაეთანხმება იმას, რომ ქალაქის საწინააღმდეგოდ რამეს გააკეთებს, მაგრამ ნუ წარმოჩნდება ისე, რომ ქალაქს არ უნდა. მან კოლეგებს მიმართა, რომ ყველაფრის გათვალისწინებით მიიღონ სწორი გადაწყვეტილება. ხვალ და ზეგ იქნება ყველაზე ამაყი ადამიანი, რომ ქალაქს ექნება ასეთი მძლავრი ძლიერი ტურისტული ობიექტი, რომელიც მისი მერობის პერიოდში დაიწყო.

**სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 24 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20  
წინააღმდეგი - 4 (ლ. ანთაძე, მ. ქამადაძე, ნ. დუმბაძე, გ. დევანაძე)

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 3.** „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხსენებელი: მირიან მეტრეველი - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო შპს „საერთაშორისო სამშენებლო ჯგუფი“-ს მოთხოვნის საფუძველზე. საკითხი ეხება ქ. ბათუმში, დაბა მახინჯაურში მდებარე მიწის ნაკვეთზე N05.34.22.235 და ქ. ბათუმში, თამარ მეფის I შესახვევი N4 დ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე N05.34.22.122 განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცებას. წინადადება მოიცავს მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობას, რომელშიც განთავსდება სასტუმრო, სასტუმრო აპარტამენტები, საცურაო აუზი, კაფე-რესტორანი. კომპლექსის ეზოში მოეწყობა ღია საცურაო აუზი და ა. შ. მრავალფუნქციური ობიექტის ეზოში მოეწყობა ავტოსადგომები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სამშენებლო სამუშაოები დაიწყება

2020 წელს და დასრულდება 2023 წელს. მშენებლობის დროს დასაქმდება არანაკლებ 200 საქართველოს მოქალაქე, ხოლო პროექტში განხორციელდება არანაკლებ 14 000 000 ლარის ინვესტიცია.

**სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 20 საკრებულოს წევრი

არ ესწრებოდა: 4 (ა. მამულაძე, რ. თავართქილაძე, მ. ქამადაძე, ზ. ნაკაიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 3 (ლ. ანთაძე, ნ. დუმბაძე, გ. დეკანაძე)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :**

**მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 4.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მამიბელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემისა და ფასის გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის, უწყებრივი სანებართვო რეესტრის (ჟურნალის) და კონკურსის წესით გამოვლენილ გამარჯვებულთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმების და სანებართვო მოწმობის შევსებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხსენებელი: ემზარ ქავჯარაძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის, საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის 2019 წლის 24 მაისის № GOV 0 19 00021128 რეკომენდაციის საფუძველზე დადგენილებით დამტკიცებულ დანართი №1-დან „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულ-

ლარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემისა და ფასის გადახდის წესი“-დან ამოღებული იქნეს 8<sup>1</sup> მუხლი.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 20 საკრებულოს წევრი  
არ ესწრებოდა: 4 (ა. მამულაძე, მ. ქამადაძე, ნ. ზოიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17  
წინააღმდეგი - 0  
არ მიიღო მონაწილეობა: 3 (ნ. დუმბაძე, ლ. ანთაძე, ნ. ძიძიგური)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :** საკითხი 5. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბულვარში, პარკში, სკვერში მოტოციკლით, კვადროციკლით და ელექტრომობილით (ელექტროტრანსპორტით) გადაადგილების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 5 მარტის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წინამდებარე პროექტის მიღება განპირობებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გამოცემულ ნორმატიულ აქტში არსებული ტექნიკური ხარვეზით კერძოდ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბულვარში, პარკში, სკვერში მოტოციკლით, კვადროციკლით და ელექტრომობილით (ელექტროტრანსპორტით) გადაადგილების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 5 მარტის №4 დადგენილების მეორე მუხლში შეტანილი იქნა ცვლილება 2019 წლის 24 მაისს ქალაქ ბათუმის საკრებულოს N13 დადგენილებით, ცვლილების მიხედვით გაიმძღვნა ბათუმის ბულვარის სხვადასხვა ნაწილზე მოტოციკლით, კვადროციკლით და ელექტრომობილით (ელექტროტრანსპორტით) გადაადგილების აკრძალვის ამოქმედებასთან დაკავშირებული ვადები, კერძოდ ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის N13 დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის რედაქციით ბათუმის ბულვარის ტერიტორიის ნაწილზე (ველობილიკი ახალი ბულვარიდან დელფინარიუმის გასწვრივ არსებულ მონაკვეთამდე) მოტოციკლით, კვადროციკლით და ელექტრომობილით (ელექტროტრანსპორტით) გადაადგილების აკრძალვა დადგინდა 2019 წლის 01 დეკემბრიდან, აღნიშნული ფორმით ვადების დიფერენცირება არ

შეესაბამება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 5 მარტის №4 დადგენილების პირველ მუხლს, რამდენადაც აღნიშნული დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულია მოტოციკლით, კვადროციკლით და ელექტრომობილით (ელექტროტრანსპორტით) გადაადგილების აკრძალვა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში არსებულ ბულვარში, პარსკსა და სკვერში გამომდინარე აქედან მოცემული აკრძალვის ზონა გამონაკლისისა და ტერიტორიის დანაწილების გარეშე მოიცავს მუნიციპალიტეტში არსებულ ბულვარს გამომდინარე აღნიშნულიდან ბათუმის ბულვარის ნაწილზე, კონკრეტულად კი ახალი ბულვარიდან დელფინარიუმის გასწვრივ არსებულ მონაკვეთზე მოტოციკლით, კვადროციკლით და ელექტრომობილით (ელექტრო-ტრანსპორტით) გადაადგილების აკრძალვის ამოქმედებისათვის განსხვავებული ვადის დასადგენად ცვლილება მიზანშეწონილია შეტანილ იქნეს დადგენილების პირველ პუნქტში, ასევე სამართლებრივი კუთხით მართებულად დარეგულირების მიზნით მიზანშეწონილია ძირითადი დადგენილების პირველ პუნქტს დაემატოს პუნქტი, რომლითაც განისაზღვრება ბათუმის ბულვარის ის ნაწილი (ახალი ბულვარიდან დელფინარიუმის გასწვრივ არსებული მონაკვეთი) რომელზეც განსაზღვრული ვადით დაშვებული იქნება მოტოციკლით, კვადროციკლით და ელექტრომობილით (ელექტროტრანსპორტით) გადაადგილება.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :**

საკრებულოს წევრმა მუხამედ ართმელაძემ აღნიშნა, რომ კარგია მარშრუტის დაზუსტება, აღნიშნული დადგენილება გაგზავნილი იქნას ბულვარის ადმინისტრაციისთვის, რომლებიც უზრუნველყოფენ სამისამართო დაფების განლაგებას ბულვარში.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებშიემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი

არ ესწრებოდა: 5 (ა. მამულაძე, მ. ქამადაძე, დ. ჭეიშვილი, ზ. ნაკვიძე, ლ. ანთაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 1 (ნ. დუმბაძე)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :**

**მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 6.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №70 განკარგულებაში ცვლილების შეტანის

თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წინამდებარე პროექტის მიღება განპირობებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის გელა დეკანაძის უფლებამოსილების ცნობით, ის როგორც საკრებულოს წევრი ვალდებულია იყოს საკრებულოს მუდმივმოქმედ ერთ კომისიაში მაინც, საკრებულოს წევრი გელა დეკანაძე თანახმაა იყოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის შემადგენლობაში ინფრასტრუქტურის განვითარების სფეროში მუშაობისა და აღნიშნული კომისიის საქმიანობაში მონაწილეობის მიღების მიზნით.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი

არ ესწრებოდა: 5 (ა. მამულაძე, მ. ქამადაძე, დ. ჭეიშვილი, ზ. ნაკაძე, ლ. ანთაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19

წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 7.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №69 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წინამდებარე პროექტის მიღება განპირობებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის გელა დეკანაძის უფლებამოსილების ცნობით, მას როგორც საკრებულოს წევრს უფლება აქვს იყოს საკრებულოს მუდმივმოქმედ არაუმეტეს ორ კომისიის შემადგენლობაში, საკრებულოს წევრი გელა დეკანაძე თანახმაა იყოს ქალაქ

ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის შემადგენლობაში საფინანსო და ეკონომიკური განვითარების სფეროში მუშაობისა და აღნიშნული კომისიის საქმიანობაში მონაწილეობის მიღების მიზნით.

**სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი

არ ესწრებოდა: 5 (ა. მამულაძე, მ. ქამადაძე, დ. ჭეიშვილი, ზ. ნაკაიძე, ლ. ანთაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19

წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 8.** „ქალაქ ბათუმში, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. N5-ში არსებულ საცხოვრებელ სახლზე მიხეილ ბეჟანიძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხსენებელი: ირაკლი პატარიძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს ღირსების ორდენის, 28 მედლისა და უამრავი საპატიო სიგელის მფლობელი, ბათუმისა და ქობულეთის საპატიო მოქალაქე, ბატონი მიხეილ ბეჟანიძე დაიბადა ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანში. 1947 წელს დაამთავრა მწვანე კონცხის ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა ტექნიკუმი. 1949 წელს სწავლა განაგრძო ოდესის საკრედიტო-ეკონომიკურ ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ქობულეთის სახელმწიფო ბანკში ინსპექტორ-ეკონომისტად. 1953 წელს დაინიშნა შუახევის სახელმწიფო ბანკის მმართველად. 1959 წელს მუშაობა დაიწყო აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროში, სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე, მათ შორის 13 წელი აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ და 4 წელი მინისტრად. არჩეული იყო აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. 1977 წელს დაუსწრებლად დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1989 წელს უმაღლესი საბჭოს დადგენილებით მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ თ ქ ვ ე ს :**

საკრებულოს წევრმა გელა დეკანაძემ იკითხა, მიხეილ ბეჟანიძე სუკის გენერალი იყო თუ მილიციის. ის ასევე დაინტერესდა, უზენაესი საბჭოს სხდომა, რომელმაც მას გენერალ-

მაიორის წოდება მიანიჭა, 9 აპრილამდე იყო თუ 9 აპრილის შემდეგ?

საკრებულოს წევრმა მუხამედ ართმელაძემ აღნიშნა, რომ მიხეილ ბეჟანიძეს ბევრი რაღაცა კარგი აქვს გაკეთებული ჩვენი ქვეყნისთვის. მთავარი ის არის და სამაგალითო, რომ ადამიანმა სამაგალითო შვილი აღზარდა, რომელიც დღეს ჩვენს ქვეყანას ემსახურება“.

საკრებულოს წევრმა ლევან ანთაძემ აღნიშნა, რომ ის იყო კარგი შინაგან საქმეთა მინისტრი, კარგი პიროვნება, ჩვენი კუთხის წარმომადგენელი, იცნობდა მას, ყველა ამ ადამიანს დადებითად ახასიათებდა. ბევრი იღვაწა ჩვენი რეგიონისთვის.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი  
არ ესწრებოდა: 5 (ა. მამულაძე, მ. ქამადაძე, ზ. ნაკაიძე.)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17  
წინააღმდეგი - 1 (გ. დეკანაძე)  
არ მიიღო მონაწილეობა : 1(ნ. დუმბაძე)

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 9.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხსენებელი: მირიან მეტრეველი - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი)

(მომხსენებელი: დავით კობინაძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელდა ცვლილებები, კერძოდ, კანონის მე-15<sup>4</sup> მუხლის შესაბამისად, მიწის ნაკვეთის დაყოფის/მიწის ნაკვეთების გაერთიანების რეგისტრაციას სააგენტო ახორციელებს შესაბამისი მუნიციპალიტეტის ორგანოსთან შეთანხმებული მიწის ნაკვეთის დაყოფის/მიწის ნაკვეთების გაერთიანების პროექტის საფუძველზე.

აღნიშნული ცვლილებიდან გამომდინარე, მიწის ნაკვეთის დაყოფა/მიწის ნაკვეთების გაერთიანების თაობაზე განცხადების განხილვა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება უნდა განახორციელოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურმა. მიწის ნაკვეთის დაყოფა/მიწის ნაკვეთების გაერთიანების თაობაზე განცხადებების განხილვა საჭიროებს სპეციალურ ცოდნას და გამოცდილებას გეოინფორმაციული სისტემების მართვის სფეროში. შესაბამისი სპეციალისტი აღნიშნული პროგრამის მეშვეობით განახორციელებს მიწის ნაკვეთების კვლევას და დაადგენს მიწის ნაკვეთის დაყოფა/მიწის ნაკვეთების გაერთიანების კანონთან შესაბამისობის და მიზანშეწონილობის საკითხს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის მიზანია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის ქალაქგეგმარებისა და ურბანული პოლიტიკის განყოფილებაში ერთი საშტატო ერთეულის დამატება.

აღნიშნული ცვლილებით ასევე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის მუნიციპალური ქონების პოლიტიკის და განკარგვის განყოფილების ერთ-ერთი ფუნქცია-მოვალეობა, კერძოდ: სახელშეკრულებო მონიტორინგის უფლებამოსილება გადადის საქალაქო მუნიციპალური სერვისების და ორგანიზაციების კოორდინაციის განყოფილებაში, რაც შემდგომში წარმოდგენილი იქნება სახელშეკრულებო მონიტორინგის, საქალაქო მუნიციპალური სერვისების და ორგანიზაციების კოორდინაციის განყოფილების სახით.

დადგენილების პროექტის მიხედვით ხდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის ქალაქგეგმარებისა და ურბანული პოლიტიკის განყოფილებაში მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის - ერთი საშტატო ერთეულის დამატება.

ხოლო ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის განყოფილების სახელის ცვლილება.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი  
არ ესწრებოდა: 3 (ა. მამულაძე, მ. ქამადაძე, გ. დეკანაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17  
წინააღმდეგი - 0  
არ მიიღო მონაწილეობა : 1 (ნ. დუმბაძე)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :** საკითხი 10. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და



სერვისების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხსენებელი: დავით კობინაძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №23 დადგენილებით დამტკიცდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის დებულება, რომლითაც განისაზღვრა სამსახურის და მისი სტრუქტურული ერთეულების ამოცანები და ფუნქციები, მათ შორის მუნიციპალური ქონების პოლიტიკის და განკარგვის განყოფილების, რომლის ფუნქციებშიც მუნიციპალური ქონების მართვისა და განკარგვის საკითხებთან ერთად შევიდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საკუთრებაში, სარგებლობაში ან სხვა ფორმით გადაცემისას ხელშეკრულების მხარეების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების (მათ შორის თანხების გადახდის) შესრულებაზე მონიტორინგის განხორციელებაც, მასთან დაკავშირებული საქმიანობა. როგორც ცნობილია 2018 წელში განხორციელდა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაცია. აღნიშნულის შედეგად მუნიციპალური ქონების პოლიტიკის და განკარგვის განყოფილების 6 თანამშრომლიდან ერთი გადაყვანილი იქნა საკუთრების აღიარების განყოფილებაში და ერთი ეკონომიკური საქმიანობის ნებართვების განყოფილებაში, ხოლო განყოფილებაზე დაკისრებული ფუნქციები და მოვალეობები დარჩა უცვლელი. განყოფილების (4 საშტატო ერთეული) მიერ შესასრულებელი საქმიანობის დიდი მოცულობიდან გამომდინარე (2018 წელში ქონების მართვისა და განკარგვის საკითხებზე განყოფილებაში შემოსული და განხილულია 3500 წერილი, განცხადება და სხვა კორესპოდენცია, მათ შორის ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებული სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული ქონების მართვის, სარგებლობაში გადაცემის, ამორტიზირებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის, გასხვისების და სხვა საკითხებზე. განყოფილებაში შემოსულ წერილებზე, განცხადებებსა და სხვა კორესპოდენციებზე მომზადებულია შესაბამისი მასალები - საპასუხო წერილები, საკრებულოს განკარგულების პროექტები, მერის ბრძანებების პროექტები და ა.შ. საჯარო რეესტრის ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურში ელექტრონულად (პროგრამულად) იქნა წარდგენილი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლებით პირველადი რეგისტრაციის მიზნით სულ 100 ერთეული მიწის ნაკვეთი, მათ შორის: 30 ერთეული გაჩერებების მოწყობის მიზნით; 19 ერთეული ხაზობრივი ნაგებობა; 51 ერთეული მიწის ნაკვეთი საკუთრებაში ან სარგებლობაში განკარგვის მიზნით. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრეში არსებული სახელმწიფოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ასევე დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთების და მასზე განთავსებული შენობა ნაგებობების პრივატიზების ან/და იჯარით სარგებლობაში განკარგვასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მოსაზრების მიღების თაობაზე შემოსულია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან

104 წერილი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროდან 141 წერილი და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიიდან 20 წერილი, რომლებზეც მომზადებულია საპასუხო წერილები. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 49 ობიექტის განკარგვის მიზნით ჩატარდა 47 ელექტრონული აუქციონი, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის მუნიციპალური ქონების პოლიტიკის და განკარგვის განყოფილებაზე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საკუთრებაში, სარგებლობაში ან სხვა ფორმით გადაცემისას ხელშეკრულების მხარეების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების (მათ შორის თანხების გადახდების) შესრულებაზე მონიტორინგის განხორციელების ნაწილში დაკისრებული უფლებები და მოვალეობები დაეკისროს რეორგანიზაციის შედეგად სამსახურში ახლადშექმნილ, საქალაქო მუნიციპალური სერვისების და ორგანიზაციების კოორდინაციის განყოფილებას (5 სამტატო ერთეული), შეიცვალოს განყოფილების დასახელებაც, აღნიშნულის განხორციელების მიზნით შესაბამისი ცვლილებები შევიდეს „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №23 დადგენილებაში.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 22 საკრებულოს წევრი  
არ ესწრებოდა: 2 (ა. მამულაძე, მ. ქამადაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 22  
წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მ ო ო ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 11.** „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის N4-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხსენებელი: მირიან მეტრეველი - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმში, ანგისის I შესახვევიდან მდინარე მეჯინისწყალის მიმდებარე ტერიტორიის ურბანული დაგეგმარება, გზების გაყვანა.

აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს მოუწესრიგებელ ტერიტორიას, რის გამოც დღის წესრიგში დადგა მისი მოწესრიგება.

ბოლო დროის განმავლობაში ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე მშენებლობის მიზნით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მომართა საკმაოდ ბევრმა მშენებლობის ნებართვის მაძიებელმა მაღალი კორპუსების მშენებლობის მიზნით. მოსახლეობისათვის ჯანსაღი საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფის, ტრანსპორტის გამტარუნარიანობის მიზნით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქ. ბათუმში, ანგისის I შესახვევიდან მდინარე მეჯინისწყალის ტერიტორიაში გზის გაყვანა. ამ ინიციატივის იურიდიულ ჩარჩოში ჩასმა იქნება მოცემულ ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი.

აღნიშნულის განსახორციელებლად მიზანშეწონილია „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის №4-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ” ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღება.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 22 საკრებულოს წევრი  
არ ესწრებოდა: 2 (ა. მამულაძე, მ. ქამადაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20  
წინააღმდეგი - 2 (ნ. დუმბაძე, ლ. ანთაძე)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე:

სულიკო თებიძე

სხდომის მდივანი:

მზევინარ წულუკიძე